

**ყოველდღიური ცხოვრება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების  
და მეორე ნახევრის თრიალეთში (სამხრეთ კავკასია)**

თრიალეთი მდებარეობს სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში და მოიცავს მცირე კავკასიონის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთს. თრიალეთი მაღალმთიანი რეგიონია, სადაც გამოირჩევა წალკის, ბედენის, გომარეთის პლატოები, რომლებიც ზღვის დონიდან 1600-1900 მ. სიმაღლეზე მდებარეობენ და მაღალი მთაგრეხილებით არიან გარშემორტყმული (ტაბ. I-2).

თრიალეთის ბუნებრივი პირობები ადამიანის განსახლებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის მეტად ხელსაყრელი იყო და ასეთად რჩება დღესაც. ადამიანის ხანგრძლივმა და ინტენსიურმა საქმიანობამ რეგიონის ლანდშაფტს დიდი კვალი დაამჩნია. პალინოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ძვ. წ. XV-VI სს. მოხდა კლიმატის დათბობა. გავრცელებული იყო მუხისა და რცხილის ტყეები შერეული ცაცხვით. არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მდიდარი ფაქტობრივი მასალის მონაცემებით, ამ ეპოქაში ინტენსიურად განვითარდა მიწათმოქმედება და მევენახეობა.

ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებსა და მეორე ნახევარში თრიალეთის მოსახლეობა საცხოვრებლად ძირითადად თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთებს ირჩევს, ნამოსახლარები უმეტეს შემთხვევაში, გამართულია მთის, ან ბორცვის წვერსა და ფერდობებზე, ტბების და მდინარეების ნაპირებზე. დასახლებები დაბალ ფერდობებზე ისეა განთავსებული, რომ მათ ერთი მხრივ საძოვარი და სათიბი, მეორე მხრივ კი სახნავ-სათესი ფართობები აკრავს. დასახლებათა ნაწილი უშუალოდ მდინარისპირა პირველ ტერასაზე გვხვდება. თუმცა, ძირითადად მაინც მეორე ან, უფრო მაღალ, მესამე ტერასაზე უცხოვრიათ. ციხე-სიმაგრეები კი, ხევის ნაპირებზე, ქედის თხემზე ან მთის წვერზე გაუმართავთ (ტაბ. I, II).

თრიალეთში ჩატარებულია ამ ეპოქის ძეგლების აეროარქეოლოგიური, გეოდეზიური, პალეობოტანიკური, პალეოზოოლოგიური, ანთროპოლოგიური და პალინოლოგიური კვლევები. არქეოლოგიურად შესწავლილია რამდენიმე ათეული ნამოსახლარი და ციხე-სიმაგრე. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების და მეორე ნახევრის თრიალეთის მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ მნიშვნელოვანი მონაცემები იქნა მოპოვებული ჯინისის, ბეშთაშენის და საბეჭდავის ნამოსახლარებსა და საფარ-ხარაბას სამაროვანზე.

**ჯინისის ნამოსახლარი** სოფ. ჯინისის უკიდურეს ჩრდილოეთ განაპირას მდებარეობს. გაშენებული ყოფილა მდ. გუმბათისწყლის მარცხენა ნაპირზე. ნამოსახლარზე შესწავლილი იქნა ნახევრადმინური ტიპის ოთხი სახლი (ტაბ. I-1). სახლების იატაკები მიწის თანადროული ზედაპირიდან 1,2-

1,5 მ. სიღრმეზე იყო გამართული. კედლები, რომლებსაც საძირკველი არ გააჩნია, ამოყვანილია ცალპირად ნანყობი რიყის ქვით. შემაკავშირებელ მასალად თითქოს მინა-თიხის ხსნარია გამოყენებული. ქვის კედლების სუსტი კონსტრუქციის გამო, სახლების სახურავები ეყრდნობოდა კედლების გასწვრივ და სახლის ინტერიერში გამოვლენილ ქვის ბალიშებზე აღმართულ ხის ბოძებს და არა კედლებს.<sup>1</sup> სახლებს, როგორც ჩანს, ბრტყელი გადახურვა ჰქონდა. სახლები ერთ რიგად არის განლაგებული და ერთმანეთისგან 3-4 მეტრის დაშორებით დგას (ტაბ. VI-1). ისინი წარმოადგენენ ნაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის დარბაზებს, რომელთა ფართობი 40,6-87,5 კვ. მ-ს შორის მერყეობს. სამი სახლის კარი სამხრეთისკენაა მიმართული, ერთი სახლისა (№3) კი, დასავლეთით. შესაძლოა სახლები ფასადით ქუჩისკენ იყო მიმართული. სახლები ერთსართულიანი იყო და განკუთვნილი ერთი ოჯახისათვის. ნიშანდობლივია, რომ საქონლის სადგომი სახლებში, ან მათ სიახლოვეს, არ დაფიქსირდა. დამხმარე, სამეურნეო სათავსოები, როგორც ჩანს, საცხოვრებლის გარეთ იყო მოწყობილი. ამის საფუძველს იძლევა №5 სახლის ინტერიერი, სადაც მხოლოდ მარცვლეულის შესანახი ორმოები დადასტურდა. სხვა სახლებისაგან გამოირჩეულია №3 სახლი. ის ნახევრადმინური კი არ არის, არამედ მინურია და აქაც ინტერიერში მოწყობილია მარცვლეულის შესანახი ოთხი ორმო. იქმნება შთაბეჭდილება, რომ №3 და №5 სახლები ერთ კომპლექსს და დასახლების სამეურნეო ნაწილს წარმოადგენს, სადაც მარცვლეული და სხვა სანოვაგე ინახებოდა.

სახლების ინტერიერი სახურავის საყრდენი ბოძებით, რამდენიმე ნაწილადაა გაყოფილი. სახლების იატაკები თიხატყეპნილია და რამდენჯერმეა განახლებული (ტაბ. VI-1).

ინტერიერში, კარის ღიობის სიახლოვეს, თავისუფალი სივრცე იყო. შესასვლელიდან მარცხნივ, დასავლეთ კედელთან (სახლი №1) ლუმელი იყო გამართული, მისი კედლები შედგენილია ვერტიკალურად დაყენებული თხელი ფილებითა და რიყის ქვებით. ლუმელის შიდა სივრცე შევსებული იყო კერამიკის ფრაგმენტებით და ნაცრით. სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დიდი ზომის თიხის ჭურჭელი ენყო. შესასვლელიდან მარჯვნივ, აღმოსავლეთის კედლის ძირში, საყრდენი ბოძების უკან, კერებია გამართული (№№1-3 სახლები). კერებთან მცირე ზომის ჭურჭელი, ბაზალტის ხელსაფქვავეები, რიყის ქვის სანაყები და სასრესები დადასტურდა, რაც მოწმობს, რომ საკვებს საცხოვრებელ სახლებში, კერასთან ამზადებდნენ. №3 სახლის კერასთან, იატაკის ზედა დონეზე აღმოჩნდა ქოთანის და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ქვედა დონეზე კი ტაფისებური ჭურჭლის ფრაგმენტები. ქოთნიდან ამოღებული მინა შესწავლილი იქნა პალინოლოგების მიერ. გაირკვა, რომ პალინოლოგიური სპექტრი შეიცავს სათესი მარცვლოვანების (ხორბალი) და მათი მტვრის მარცვლებს. ქოთანს ძლიერი ცეცხლის კვალი ეტყობა.

<sup>1</sup> ნარიმანიშვილი, ამირანაშვილი, ჯინისის ნამოსახლარი, გვ. 206.

როგორც ჩანს, იგი საკვების მოსამზადებლად გამოიყენებოდა.<sup>1</sup> კერის სიახლოვეს ჩანს საძინებელი სივრცე. ამაზე უნდა მიუთითებდეს სახლებში მოწყობილი თიხის ბაქანი ან ქვის ფილებით მოგებული მოედანი. ასეთი არეები სახლის სიღრმეში, კედლის გასწვრივ, კერასთან ახლოსაა განთავსებული. ვფიქრობთ, სახლებში სარიტუალო ადგილებიც იყო გამოყოფილი. არ არის გამორიცხული, რომ მთავარ საკულტო ობიექტს კერა წარმოადგენდა. კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული №1 და №3 სახლებში აღმოჩენილი ირმის რქები. ისინი საბოძე ორმოების წინ დაფიქსირდა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ირმის რქები ბოძზე იყო მიმაგრებული და კარის ლიობზე ორიენტირებული.

ნამოსახლარი, კერამიკული მასალის მიხედვით, ძვ. წ. XVII-XV სს. თარიღდება. ზოგიერთი ჭურჭელი საფარ-ხარაბას სამაროვანზე დადასტურებული თიხის ჭურჭლის ანალოგიურია.

**საბუჯდავი.** „ციკლოპური“ ნამოსახლარი გაშენებულია სოფ. ბეშთაშენის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2,0 კმ-ის დაცილებით, მდ. ბაშკოვ-სუს მარცხენა ნაპირზე, მთა ელი-ბაბას (ზღვის დონიდან 1674,8 მ.) თხემზე და ფერდობებზე. ნამოსახლარი წარმოადგენს კომპლექსს, რომელიც სასიმაგრო სისტემების ქვედა და ზედა სიმაგრეების, მათ შიგნით და გარეთ არსებული უბნებისაგან შედგება (ტაბ. II). ქვედა სიმაგრე (A უბანი) კომპლექსის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. მისი სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 130 მ-ს უდრის, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 90 მ-ს. გალავნის კედლები ნაგებია ბაზალტის დიდი დაუშუშავებელი ლოდებით, უდულაბოდ. კედლების სისქე 3-4 მ-ს აღწევს. გალავნის მთელ პერიმეტრზე მიდგმულია სხვადასხვა ზომის 30-მდე საცხოვრებელი სახლი (ტაბ. III-1), რომელთა შორის დატოვებულია გასასვლელები და ქუჩები. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 0,8-1,5 მ-ს უდრის. სიმაგრის ცენტრალური ნაწილი ნაგებობებისაგან თავისუფალი ჩანს. ქვედა სიმაგრეხევის და მდინარის ხერთვისში ბუნებრივ კონცხზეა გამართული. იგი ორი ნაწილისაგან შედგება და ორი შესასვლელი აქვს. ერთი შესასვლელი სამხრეთიდანაა. მისი სიგანე თავდაპირველად 5 მ. უნდა ყოფილიყო. სიმაგრე ორადაა გაყოფილი. დასავლეთი ნაწილი პატარაა და, როგორც ჩანს, დაუსახლებელი იყო. სიმაგრის მთლიანი სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 162 მ-ს, ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე კი 90 მ-ს უდრის. სიმაგრის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილი გაყოფილია 1,0 მ. სიგანის კედლით, რომლის შუა ნაწილში 1,3 მ. სიგანის კარის ლიობია გაჭრილი.

ქვედა სიმაგრეში გათხრილია 9 სახლი. ყველა მათგანი მიდგმულია სასიმაგრო კედელზე, ნაგებია დაუშუშავებელი ქვებით. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 0,6-1,8 მ-ს უდრის. იატაკი უმეტეს შემთხვევაში თიხა-

<sup>1</sup> ნარიმანიშვილი, ამირანაშვილი, ჯინისის ნამოსახლარი, გვ. 212.

ტკეპნილია. ერთ შემთხვევაში სახლის (№5) იატაკს ბაზალტის დედაქანი წარმოადგენს. ზოგიერთ სახლში დადასტურდა თიხისაგან გამოძერწილი სტაციონარული კერები, რომელთა დიამეტრი 0,3-0,4 მ-ია. ქვედა სიმაგრის მეორე, აღმოსავლეთი შესასვლელიდან, რომლის სიგანე 6 მ-ია, აღმოსავლეთით მთის წვერისაკენ მიემართება ბაზალტის დიდი ქვებისაგან განწყობილი „ხეივანი“, რომელიც 100 მ-ის შემდეგ ორად იყოფა და ელი-ბაბას მთას გარშემო უვლის. მისი საერთო სიგრძე აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე 1200 მ-ია. მთის ფერდობზე და წვერზე, „ხეივანის“ შიგნით განლაგებულია ცალკეული საცხოვრებელი უბნები/კვარტალი, სასიმაგრო სისტემები და გალავნით შემოზღუდული საკულტო მოედანი (ტაბ. II).

**I საცხოვრებელი კვარტალი (B უბანი)** მდებარეობს ქვედა სიმაგრის (A უბანი) აღმოსავლეთით 200 მ. დაცილებით. პირველ კვარტალში 40-მდე სახლი დასტურდება, რომელთაგან ოთხია გათხრილი. ოთხივე სახლი დიდი ზომის დაუმუშავებელი ქვებითაა ნაგები, მშრალად. კედლების შემორჩენილი სიმაღლე 1,0-1,5 მ-ა. მაქსიმალური სიგანე 3,0 მ. სახლები ერთდროულადაა აგებული, ერთმანეთზეა მიდგმული და მათ საერთო კედლები აქვთ. სახლების კარის ღიობები სამხრეთ-დასავლეთითაა მიმართული. სახლებს, როგორც წესი, კარის ერთი ღიობი აქვს. შესასვლელები გრძელია, კორიდორისებური. შესასვლელი კორიდორის სიგრძე 3,5-4,0 მ-ს უდრის. სიგანე 1,0-1,5 მ-ს შორის მერყეობს.

საცხოვრებელ კვარტალებში გამოვლენილი სახლები, თავისი გეგმარებით, განსხვავდება სიმაგრის შიგნით გათხრილი სახლებისაგან. თუ სიმაგრეში გათხრილი სახლები მცირე ზომისაა და ძირითადად ერთი ოთახისაგან შედგება, კვარტალებში უმეტესად ორსათავსიანი დიდი ზომის სახლებია (ტაბ. III-2). სახლების შიდა საერთო ფართობი 150-160 კვადრატული მეტრია. თითოეული სახლი ორი - მცირე და დიდი სათავსისაგან შედგება (დიდი სათავსის ზომებია 83-35 კვ. მ; პატარასი კი - 52-18 კვ. მ.) მცირე სათავსოების იატაკი თიხატკეპნილია. აქვეა მონწყობილი კერა ან ღუმელი. სახლები ნახევრად მიწურებს წარმოადგენს და, მათ, როგორც ჩანს, ბანური გადახურვა ჰქონდათ, რომელიც ხის ბოძებს ეყრდნობოდა. ამაზე მიუთითებს უბანზე გათხრილ №5 სახლში გამოვლენილი საბოძე ორმოები და უბნის №1 სახლში დაფიქსირებული ორ რიგად განლაგებული ექვსი ხის ბოძის ბრტყელი ქვის ბალიშები.

**B უბნის სახლების მცირე სათავსოების იატაკი თიხატკეპნილია, დიდი სათავსოს იატაკი ბაზალტის ბრტყელი ფილებითაა მოგებული. მცირე სათავსოში გამართულია კერა ან ღუმელი (ტაბ. IV-2). ჩანს, რომ სახლის ეს ნაწილი სამზარეულოს და საძინებელს წარმოადგენდა. დიდი სათავსო კი სამეურნეო იყო, სადაც საქონელი უნდა ყოფილიყო დაბინავებული. დიდ სათავსოში სანოვაგესაც ინახავდნენ. ყველა სათავსოს გრძივ კედელთან ქვით ნაგები და თიხით შელესილი მერხი იყო გამართული, რომელზეც დიდი სამეურნეო**

ჭურჭელი იდგა (ტაბ. IV-1). კერა ყველა სახლში დადასტურდა. ის მსხვილ-მარცვლოვანი თიხისაგანაა დამზადებული. მათი დიამეტრი 0,3-0,35 მ-ია, სიმაღლე 0,05-0,1 მ-ს უდრის. კერების წინ ბაზალტის ქვებით შემონყობილი წრიული სანაცრე ორმოები დაფიქსირდა, რომლებიც შევსებული იყო სუფთა ნაცრით. სახლის კუთხეში ან გრძივი კედლის ცენტრში მოწყობილი იყო ღუმელი. ყველა შემთხვევაში ის მიდგმული იყო კედელზე. ღუმელები თითქმის ერთი ზომისაა (0,8X0,7X0,6 მ) და ბაზალტის ფლეთილი ქვით და ტალახითაა ნაგები (ტაბ. IV).

სახლი კულტმსახურების ადგილიც ყოფილა. რიტუალი, როგორც ჩანს, ძირითადად კერასთან და ღუმელთან ტარდებოდა.

სახლებში ერთგვაროვანი მასალა აღმოჩნდა. ძირითად მასას თიხის ჭურჭელი წარმოადგენს. მათი უმრავლესობა დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ობსიდიანმინარევებიანი თიხისაგან, ხელითაა ნაძერნი, არათანაბრად, ძირითადად რუხადაა გამომწვარი. დიდი ნაწილი ქოთნებსა და დერგებს წარმოადგენს. აღსანიშნავია ოთხი სადღვებელი, რომლებიც დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. თიხის ჭურჭელი იატაკზე, ან სპეციალურად გამართულ თაროებზე იდგა. მაგალითად, №1 სახლის №2 სათავსოს იატაკზე, სამხრეთი კედლის გასწვრივ თიხის რვა დიდი ზომის ჭურჭელი იდგა. №5 სახლის №1 სათავსოში აღმოჩნდა სადღვებლები, ჯამები, ტოლჩები, დერგები, ქოთნები, კოჭოები. სახლებში აღმოჩნდა ბაზალტის და რიყის ქვისაგან დამზადებული სანაყები, სასრესები, ხელსაფქვავეები, დიდი რაოდენობით ობსიდიანის ნუკლეუსები და ანატკეცები, რომელთა ნაწილზეც მუშაობის კვალია შემორჩენილი. სახლებში აღმოჩენილი მასალა ძვ. წ. XIII-XII სს. თარიღდება.

**ბეჟენაშენის „ციკლოპური“** ნამოსახლარი მდ. ჩილ-ჩილისა და მდ. ბაშკოვ-სუს ხერთვისში მდებარეობს. ამ მდინარეთა ღრმა კანიონებს შორის მოქცეული ფართობი (დაახლ. 20 ჰა.) ჩრდილოეთით ხელოვნური თხრილითაა გამოყოფილი, რომლის სამხრეთ კიდედგან „ციკლოპური“ კედელია აშენებული (ტაბ. V-1). ძველზე არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო 1936 წელს და დღემდე გრძელდება. ჩვენ მიერ გამოვლენილი ნაგებობებიდან ორი სახლი (1,3) მთლიანად გაითხარა, №2 სახლის კი, მხოლოდ ნაწილი იქნა შესწავლილი (ტაბ. V-2).

№1 სახლის კედლები ნაგებია ბაზალტის ნატეხი ქვით, რომელთა მაქსიმალური, შემორჩენილი სიმაღლე 0,8 მ-ს აღწევს. სამხრეთი კედლის ცენტრალურ ნაწილში შესასვლელი კარის ღიობია დატოვებული. დასავლეთი კედლის გასწვრივ შემორჩენილია ქვის ფილებით მოგებული იატაკის (ზღვე ?) ნაშთი. №2 სახლი მიდგმულია №1 სახლზე, მათ საერთო კედელი გააჩნიათ, ხოლო №3 სახლის ფრაგმენტებია დარჩენილი. სახლის ძირითადი ნაწილი ეროზიის შედეგადაა მონგრეული. შემორჩენილია რიყის ქვის ცალპირი ნყოფით ნაგები ჩრდილო-დასავლეთი კუთხე. კედლის პირიდან 0,2 მ. სიღრმეზე თიხატკეპნილი იატაკის ნაშთი დაფიქსირდა, რომლის ფართობი

5,5X6,5 მ-ს უდრის (A დონე). იატაკს და კედლებს ეტყობა ძლიერი ცეცხლის კვალი. თიხატკეპნილ იატაკს ნაცარ-ნახშიროვანი თხელი ფენა ადევს, რომელიც მცირე რაოდენობით შეიცავს თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. იატაკს ალაგ-ალაგ მოლესვის კვალი ეტყობა. ფენა მთლიანად შევსებული იყო ნაცრით და ნახშირით, რომელშიც შერეული იყო ცხოველის (მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის) ძვლები და კერამიკის ფრაგმენტები.<sup>1</sup> იატაკის დონიდან 0,2 მ. სიღრმეზე კლდოვანი დედაქანია, რომლის უსწორმასწორო ზედაპირი ნაცროვანი მასითაა მოსწორებული და გადალესილი (C დონის იატაკი). ქვის კედელი ამ დონემდე ჩადის და საფუძვლად კლდოვანი დედაქანი აქვს. C დონის იატაკი კარგად ყოფილა მოსწორებული და დატკეპნილი. იატაკზე დიდი რაოდენობით ნაცარი ყრია, რომელშიც კერამიკის ფრაგმენტები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის, მათ შორის ცხენის ძვლები და თევზის ფხების ნაშთი ურევია.

როგორც ჩანს, სახლი რამდენჯერმე იყო გადაკეთებულ-განახლებული. №3 სახლში აღმოჩენილი მცირერიცხოვანი კერამიკული მასალა ძვ. წ. XVI-XIV სს. თარიღდება. საყურადღებოა, რომ ბეშქენაშენის ნამოსახლარის ჩრდილოეთით, სოფ. საფარ-ხარაბასთან გათხრილ ვრცელ სამაროვანზე მოპოვებული თიხის ჭურჭელი იდენტურია №3 სახლში აღმოჩენილი კერამიკისა. ამ ფაქტისა და ამ ორი ძეგლის ერმანეთთან ახლომდებარეობის გამო მიგვაჩნია, რომ ბეშქენაშენის „ციკლოპური ნაქალაქარის“ მოსახლეობა საფარ-ხარაბას სამაროვანზე იკრძალებოდა.

**მეურნეობა.** თრიალეთის ძვ. წ. II ათასწლეულის დასახლებათა აგრარული სივრცე სოფლის მეურნეობის ორი ძირითადი დარგით - მესაქონლეობით და მინათმოქმედებით არის წარმოდგენილი. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებში და მეორე ნახევარში მინათმოქმედების აღმავლობაზე მიუთითებს ნამოსახლარებზე (ჯინისი, ბეშთაშენი, საბეჭდავი/ელი-ბაბა) აღმოჩენილი მარცვლეული კულტურების ნაშთები, ქვის სანაყები და სასრესები, ბაზალტის საფხეკებისა და ხელსაფეკვავების სიმრავლე. პალინოლოგიური და პალეობოტანიკური მონაცემების მიხედვით, ამ ეპოქის თრიალეთის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას მარცვლეული კულტურების მოყვანა წარმოადგენდა. საფარ-ხარაბას სამაროვანზე ჩატარებულმა პალინოლოგიურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ აქ დაკრძალული ადამიანების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმიანობას მინათმოქმედება წარმოადგენდა. ჭურჭელში დადასტურებულია ხორბლის მტვრის დიდი რაოდენობა. სამარხებში ხშირია მარცვლეული კულტურების და ნათესების სარეველების მტვრის დადასტურება. ხორბლის მტვრის გარდა დადასტურებულია ვაზის, ჭვავის, ღომის და ქერის მტვერი. სამარხებში ნაპოვნია ის სპეციფიური სარეველები, მაგ. თაღგამულა (*Brassicaceae*), რომლებიც მხოლოდ ვენახში იზრდებიან. ნამოსახლარებსა და სამარხებში აღმოჩენილი ოსტეოლოგიური მასალა

<sup>1</sup> ნარიმანიშვილი, თრიალეთი, გვ. 279.

მიუთითებს განვითარებულ მეცხოველეობაზე. ნამოსახლარებზე თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები.

ჯინისის ნამოსახლარზე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები (ცხენი, ძროხა, ცხვარი, თხა) ყველა სახლში აღმოჩნდა. აქ მესაქონლეობის გარდა ნადირობასაც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. სახლების იატაკზე აღმოჩენილია გარეული ცხოველების (კეთილშობილი ირემი, შველი, გარეული ცხვარი/ქურციკი, ნიამორის, თუ ჯიხვის, დომბის ანუ ბიზონის და მაჩვის), ძვლები.

ჯინისის ნამოსახლარზე გათხრილი სახლებიდან მოპოვებული ხარის, ცხენის, ვირის და კანჯარის ძვლები ამ ცხოველების გამწვანებულ ძვლებზე უნდა მიუთითებდეს. აქვე ნანახია კატისა და ძაღლის ძვლები. ჯინისის ცხენების ნაშთები რაოდენობრივად სჭარბობს სხვა შინაურ ცხოველთა ძვლების საერთო რაოდენობას და არანაკლებ 35-40% შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ ცხენების ძვლები არ განირჩეოდა სხვა შინაურ ცხოველთა ნასუფრალი ძვლებისაგან, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ადამიანი ცხენის ხორცს ისევე იყენებდა საკვებად, როგორც სხვა შინაურ ცხოველებისას.<sup>1</sup> მეცხენეობა გულისხმობს, რომ სოფლის მიდამოებში გაშლილი ველი არსებობდა. პალინოლოგიური კვლევა კი უჩვენებს, რომ დასახლების ახლომდებარე მინდვრების ნახევარი სახნავ-სათესად, ნაწილი კი, საძოვრად გამოიყენებოდა. პალეობოლოგიური გამოკვლევებით საფარ-ხარაბას სამაროვანზე დაკრძალული ადამიანების ყოფაში მესაქონლეობას დიდი ადგილი ეკავა. ჰყავდათ როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა რქოსანი საქონელი და ღორები. რაც შეეხება საფარ-ხარაბაში აღმოჩენილ ძროხის ჯიშს, ის პატარა ტანის იყო და ო. ბენდუქიძის აზრით, ახლოს იდგა ე. წ. ხევსურულ ძროხასთან. რძის ნაწარმის ფართო გამოყენებაზე მიუთითებს სადღვებლების (საბეჭდავი) და საწურების (საბეჭდავი, საფარ-ხარაბა) დადასტურება გვიანი ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე.

საბეჭდავის ნამოსახლარზე, სავარაუდოდ, საქონელი დაბინავებული იყო სახლების დიდ სათავსოებში, რომლის იატაკი ბაზალტის ფილებით იყო მოგებული და სადაც მოთავსებული იყო „ბაგა“. ჯინისის ნამოსახლარზე, ჩვენი აზრით, საქონელი იმავე სახლში არ იყო დაბინავებული, სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ. ჯინისის სახლების იატაკები თიხატყეპნილია, რის გამოც საქონლის ყოლა სრულიად მოუხერხებელია. როგორც ჩანს, ჯინისის მოსახლეობას საქონლისათვის სპეციალური სადგომები ჰქონდა.

**დიეტა.** საკითხი, თუ როგორ და რითი იკვებებოდნენ გვიანი ბრინჯაოს ხანის თრიალეთელები რთულია და დღეისათვის ერთგვაროვანი პასუხი არ არსებობს. თუმცა, პალინოლოგიური, პალეობოტანიკური და პალეობოლოგიური მასალები გარკვეული მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას იძლევა.

<sup>1</sup> ბენდუქიძე, ჯინისის ცხენი, გვ. 254.

ჯინისის ნამოსახლარსა და საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელიდან აღებული ნიმუშების პალინოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყოფაში სხვადასხვა სახის, როგორც ცხოველურ (მსხვილფეხა საქონელი, ბატკანი ან ციკანი), ისე მცენარეულ (ხორბალი, ღომი, ქერი, ნაბლი, თხილი, კაკალი, წინიბურასნაირი მცენარეები, ნაცარქათამა, ჭინჭარი) საკვებს იყენებდნენ. საკვების დასამზადებლად ხმარობდნენ ცხოველურ ცხიმს, სანელებლებად კი ქოლგისნაირებს. საკვები საკმაოდ მრავალფეროვანი ჩანს. მაგ. №10 სამარხში აღმოჩენილ ქილაში თაფლი დადასტურდა; №25 სამარხის დერგში ხორბალი, თხილი, ცაცხვის მტვერი; №28 სამარხის იატაკზე, დამწვარ ნიადაგში, დიდი რაოდენობით დადასტურდა ხორბალი, ჭვავი და სხვა სათესი კულტურები, ჭინჭარი; აქვეა რცხილის, ცაცხვის, მუხის და წიფლის მტვრის ნაშთები. №29 სამარხის ქოთანში ღვინის დამწვარი ნაშთები და მტვრის მარცვლები; პირფართო ქოთანში ცხოველური ცხიმი, დიდი რაოდენობით ხორბალი, ნათესების სარეველები და საძოვრის ბევრი ელემენტი. №30-ე სამარხის თიხის ჭურჭელში მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ცხოველური ცხიმი, დიდი რაოდენობით ხორბალი და ქოლგოსანი მცენარეები (სანელებლები) დადასტურდა. ჭურჭელს აშკარად ეტყობა ცეცხლის კვალი. როგორც ჩანს, ჭურჭელი საჭმლის მომზადებისთანავე ჩადგეს სამარხში. ხორბლისგან დამზადებული საჭმელი დადასტურებულია №54 და №90 სამარხებში აღმოჩენილ ჭურჭელში. №79 სამარხის ერთ-ერთ ჭურჭელში აღმოჩენილია ცხვრის ბეჭები, მეორეში ხორბლეულის პროდუქტი უნდა ყოფილიყო, ხოლო მესამე ქოთანში ალბათ წყალი, რადგან აქ დადასტურდა წყალმცენარეების ნაშთები.<sup>1</sup>

**ხელოსნობა.** ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების და მეორე ნახევრის თრიალეთში კარგად იყო განვითარებული მეთუნეობა, ქვის, ხის და ძვლის დამუშავება. ამ სახის არტეფაქტების დიდი უმეტესობა ადგილობრივი ნამზადია.

**მეთუნეობა.** ამ ეპოქის თიხის ნაწარმიდან გამოირჩევა ორი სახეობის კერამიკა: ერთ ნაწილს წარმოადგენს სამეურნეო და სამზარეულო თიხის ჭურჭელი, რომელიც უხეშკეციანია, უმეტესწილად ხელითაა ნაძერწი და ცეცხლის კვალი ეტყობა; მეორე ნაწილს ეკუთვნის კარგად განლექილი თიხისგან, მორგვზე ამოყვანილი სუფრის ჭურჭელი. ამ ჯგუფის კერამიკა ნატიფია, ზოგჯერ შავად არის გაპრიალებული, ზედაპირი კი ორნამენტითაა შემკული.

**ხითხურობა და ტყავის დამუშავება.** არქეოლოგიური, ტრასოლოგიური და პალინოლოგიური გამოკვლევებით საფარ-ხარაბას სამაროვანზე დაკრძალული ადამიანების ცხოვრებაში ხელოსნობას, განსაკუთრებით კი ხის და ტყავის დამუშავებას, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

---

<sup>1</sup> Kavadze, Narimanishvili, *The remains of Gossipium*, გვ. 34-37.



**ტყავის დამუშავების** ტრადიციაზე მიუთითებს სამარხებში დადასტურებული ტყავის ნაშთები. საფარ-ხარაბას სამაროვანზე მიცვალებულთა ძვლები, უმეტეს შემთხვევაში, შავი ფერის მკვრივი მასითაა დაფარული. ასეთივე მასა დაფიქსირებულია ჩონჩხის ქვეშაც. ეს ფენა სწორი გეომეტრიული ფორმებით გამოირჩევა. მას ნაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვს. მისი სისქე 0,2-0,4 მ-ს აღწევს, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს ხის ნაშთებს. აქვე შეინიშნება ტყავის ანაბეჭდებიც. როგორც ჩანს, სამარხებში ხის სუსტი კონსტრუქციები იყო გამართული. ძელების განლაგება მიუთითებს, რომ სარეცლისა და მიცვალებულის თავზე წვრილი ნწელები და ტყავი იყო გადაფარებული. ყოფაში ტყავის გამოყენებაზე მიუთითებს სხვადასხვა მცირე ზომის ნივთები, მაგალითად, **კაპარჭი №8** სამარხიდან. ის დამზადებულია ხის თხელი ფიცრებისაგან, რომელთაც გარედან ტყავი აქვთ შემოკრული, ზედაპირი შემკულია ბრინჯაოს თხელი ფირფიტებით. კაპარჭში 8 ისარი იდო: 7 ობსიდიანის და 1 კაჟის. კაპარჭის მთელ სიგრძეზე აღმოჩნდა ისრის ხუთი ზრო.<sup>1</sup> ორ სამარხში დაფიქსირდა მიწის საერთო ფონიდან გამორჩეული, მუქი ფერის ლაქები, სავარაუდოდ ტყავის ქისები, რომლებშიც შემჭიდროვებულად იდო სხვადასხვა, შესაძლოა მიცვალებულისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ნივთები.

**ხის დამუშავებაზე** მიუთითებს სამარხებში დადასტურებული მუხის, ცაცხვის, სოჭის, ნაძვის, ძელქვას, ასევე სხვა ჯიშის ხეების მტვერი. ზოგიერთ სამარხში ნაპოვნია მუხის და ფიჭვის მერქნის პარენქიმული უჯრედები. სავარაუდოდ, ამ ხეებისგან გარკვეული კონსტრუქციები იყო დამზადებული. ძელების ნაშთი დადასტურებულია თერთმეტ სამარხში; განსაკუთრებით აღსანიშნავია ბრინჯაოს ხანის სატრანსპორტო საშუალებების და მათი დეტალების აღმოჩენის ფაქტები. საფარ-ხარაბას სამაროვანის №30 სამარხში მიცვალებული დასვენებულია ხის ურემზე. სამარხში აღმოჩენილი ურემი და მისი დეტალები სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასა და მათ რთულ კონსტრუქციაზე მიუთითებს. ურმის ძარას წინა ნაწილი რთული შედგენილობისა იყო. მისი ფორმის ზუსტი აღდგენა კვლევის ამ ეტაპზე ძნელია. თუმცა ბერიკლდეებისა და ლჭაშენში აღმოჩენილი მსგავსი, თანადროული ურემები, რომლებიც უკეთესადაა შემორჩენილი, საფარ-ხარაბას ურმის რეკონსტრუქციის გარკვეულ საშუალებას იძლევა. არ არის გამორიცხული, რომ საფარ-ხარაბას ურემსაც მსუბუქი გადახურვის კონსტრუქცია ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სამარხში არც ბორბლები აღმოჩენილა და არც ლერძის ნაშთები (ისინი შეიძლება სამარხის დაზიანებულ ნაწილში ეწყოს) უღლის ფორმა და პარალელური მასალები (ბერიკლდეები) საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ საფარ-ხარაბას სამაროვანის №30-ე სამარხში აღმო-

<sup>1</sup> ნარიმანიშვილი, *თრიალეთი*, გვ. 286.

ჩენილი ურმის გამწვანებას ცხენი წარმოადგენდა. საფარ-ხარაბაში აღმორჩენილი უღელის ტიპი დადასტურდა ბერიკლდეების სამარხშიც, სადაც ძვ. წ. XV-XIII სს. დათარიღებულ ურემში ცხენები იყო შებმული.<sup>1</sup>

**სარეცელი.** საფარ-ხარაბას სამაროვანზე, ზოგიერთ სამარხში მიცვალებული ხის სარეცელზე იყო დასვენებული, რომელსაც წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმა აქვს. ზოგიერთი მათგანი ფიგურული სახელურებითაა შემკული.<sup>2</sup>

**ქსოვილი.** პალინოლოგიური და არქეობოტანიკური კვლევებით საფარ-ხარაბას სამარხებში დადასტურებული იყო ტექსტილის ბოჭკოები. შესწავლილი 200 ნიმუშის მიხედვით, გარკვეული წარმოდგენა გვექმნება სამაროვანზე დაკრძალული ადამიანების სამოსელზე, გამოყენებული ტექსტილის ნაირსახეობაზე, ფერადოვნებაზე, რიტუალურ სამოსზე და გარკვეულწილად ჰიგიენაზე. სამარხებში ნაპოვნია სელის, ბამბის და შალის ქსოვილის ბოჭკოები, აქედან 55% ბამბის ქსოვილისაა. ლაბორატორიული კვლევისათვის სინჯები აღებული იყო სამარხის სხვადასხვა ადგილიდან: მიცვალებულის თავის ქალასთან, ხელებთან, ბარძაყის ძვლებთან, ფეხებთან, ჭურჭელთან. მამაკაცის სამარხებში ბამბის ქსოვილის ბოჭკოების დიდი უმრავლესობა ბარძაყის ძვლებთან აღმოჩნდა, რაც შეიძლება აიხსნას სამოსის სტილით. შესაძლოა, ეს იყო შარვლის ტიპის სამოსი, რომელიც ორივე მხრიდან ფარავდა ბარძაყებს. მამაკაცების ხელის არეში ასევე მრავლად იყო დადასტურებული ბამბის ქსოვილის ბოჭკოები, რაც გვავარაუდებინებს აქ გრძელმკლავიან ზედა სამოსს. ცალკეული შალის ბოჭკოები ნაპოვნია მუხლების, ფეხების და თავის ქალას არეში. შესაძლოა, მიცვალებულს შალის წინდები, ან თექის ფეხსაცმელი ეცვა, თავზე კი შალის ქუდი ეხურა.<sup>3</sup>

საინტერესო სურათი გამოიკვეთა მიცვალებულების თავის ქალას არეში. აქ შედარებით მეტი ტექსტილის ბოჭკოს ნაშთი დედაკაცების თავის ქალას ქვეშ იყო ნაპოვნი, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყო ქალებისათვის დამახასიათებელ დიდი თავსაფრის ტარებასთან. აღსანიშნავია, რომ დედაკაცების თავის ქალასთან ნაპოვნია გრძელი, დაურთავი მაგარი ბოჭკოები, ვვარაუდობთ, რომ ეს იყო თავსაფრის დეკორატიული ფორმები. დედაკაცების თავის ქალასთან აღმოჩენილი ქსოვილის ბოჭკოები მხოლოდ ბამბისაა და შეუღებავი. შესაძლოა ბამბის თეთრი თავსაფარი დაკრძალვის რიტუალში გამოიყენებოდა. სამარხებში ნაპოვნია ფერადი ძაფების ბოჭკოები. ქალის №56 სამარხში, საკინძის ადგილთან ნაპოვნია ყავისფერი ქსოვილის ფრაგმენტი, რაც სავარაუდოს ხდის, რომ ტანისამოსის ნაწილი ყავისფერი იყო. ამავე მიცვალებულს თავის ქალასთან თეთრი შეუღებავი ძაფები აღმოაჩნდა, ე. ი. თავზე თეთრი თავსაფარი ეხურა. მუხლებთან ლურჯი,

<sup>1</sup> ნარიმანიშვილი, *თრიალეთი*, გვ. 291.

<sup>2</sup> ნარიმანიშვილი, *თრიალეთი*, გვ. 291.

<sup>3</sup> Kvavadze, Narimanishvili, Bitadze, *Fibres of Linum*, გვ. 490.

ვარდისფერი, ნაცრისფერი და ყავისფერი, ფეხებთან კი შეუღებავი დაფების ბოჭკოები დადასტურდა. საკინძის არეში მრავლად იყო ლურჯი, ყავისფერი და ვარდისფერი ბამბის დაფების ბოჭკო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებულს გრძელი კაბა ემოსა, რომელიც მოქარგული იყო ფერადი დაფებით. მოქარგული სამოსი ეცვა, სავარაუდოდ გარდაცვლილ ქალს №67 სამარხიდან. აქ ნაპოვნია ლურჯი, ნაცრისფერი, ყავისფერი, წითელი, მწვანე. მიცვალებულის ხელის თითებთან - ვარდისფერი, მწვანე და ყვითელი ფერის დაფები. №85 სამარხში მიცვალებულის მარჯვენა ხელთან ნაპოვნია სხვადასხვა ფერის დაფების ბოჭკო: ლურჯი, ყვითელი, ყავისფერი, ნაცრისფერი, ფიროუზისფერი, ვარდისფერი. სამ სამარხში ნაპოვნია წითელი (მენამული) ფერის ქსოვილის ბოჭკოები. №33 სამარხში, ბავშვის თავის ქალასთან და ფეხებთან ფერადი დაფები აღმოჩნდა. მრავლად იყო მძივები. შესაძლოა ტანისამოსი მოქარგული იყო ფერადი დაფებით და მძივებით. ქალის და ბავშვის ფეხებთან და მუხლებთან უფრო მეტი ფერადი ბოჭკოს ნაშთებია ნაპოვნი, განსხვავებით მამაკაცების სამარხებში აღებული სინჯებისა. განსხვავებაა ჭურჭელთან აღებულ სინჯებს შორისაც. იმ ჭურჭელში, სადაც მყარი საჭმელი (ხორცი) იდო, შედარებით ნაკლებია ქსოვილის ბოჭკოების ნაშთი, ხოლო, რომლებშიც სავარაუდოდ თხევადი საკვები (რძე, წყალი, ალკოჰოლური სასმელი) იყო, საკმაოდ ბევრია, რაც გვავარაუდებინებს, რომ ქოთანს გადაფარებული ჰქონდა ქსოვილი.<sup>1</sup>

**რიტუალი და მაგია.** არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის თრიალეთელები გარკვეულ კულტმსახურებას ასრულებდნენ როგორც საცხოვრებელ სახლებში, კერასთან, ასევე გარდაცვლილი ახლობლების სამარხებთან. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებსა და მეორე ნახევარში გარდაცვლილები იკრძალებოდნენ ნამოსახლარებისაგან მოშორებით, სპეციალურად მოწყობილ სამაროვნებზე. ყველა სამარხი ორმოსამარხს წარმოადგენს. დასაკრძალავი კამერები შემოფარგლულია ბაზალტის დიდი ქვებით შედგენილი წრეებით (კრომლევებით), რომელთა დიამეტრი 4-18 მ. შორის მერყეობს. კრომლევების შიდა სივრცე, უმეტეს შემთხვევაში რიყის წვრილი ქვითაა შევსებული. უშუალოდ ამ ქვაყრილების ქვეშაა მოქცეული სამარხი ორმოს გადახურვის კონსტრუქციები. სამარხი კამერები ბაზალტის დიდი ზომის ფილებით ან ხის ძელებითაა გადახურული. კრომლევების ცენტრში ჩვეულებრივ ერთი სამარხი კამერაა მოწყობილი. გამონაკლისს წარმოადგენს №67-ე და №68-ე სამარხები, რომლებიც ერთი კრომლევის შიგნითაა გამართული. №67-ე სამარხში ახალგაზრდა ქალია დაკრძალული, №68-ე სამარხში კი სხვადასხვა ასაკის ოთხი ბავშვი.

სამარხი კამერები ძირითადად ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზეა დამხრობილი. მიცვალებულები დასვენებულია ხელ-ფეხ მოკეცილი, მარჯვენა

<sup>1</sup> Kavadze, Narimanishvili, Bitadze, *Fibres of Linum*, გვ. 491.

ან მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით. მიცვალებულისათვის განკუთვნილი ინვენტარი გარკვეული კანონზომიერებით არის განაწილებული. სამარხეული კერამიკა (თითოეულ მიცვალებულს 1-8 ჭურჭელი აქვს ჩატანებული) ძირითადად მიცვალებულის თავის ქალასთანაა განლაგებული, საბრძოლო იარაღი კი სახის წინ უწყია. სამაროვანზე დაკრძალულ მიცვალებულთა ნაწილი შემკულია სხვადასხვა სახის (ოქროს, ფაიანსის, ნახევრად-ძვირფასი ქვის) მძივ-სამკაულით. მძივები გვხვდება როგორც გულსამკაულის, ასევე სამაჯურების და თავსამკაულის სახით. ორ შემთხვევაში მიცვალებულებს მაჯაზე ბრინჯაოს სამაჯური ეკეთათ. ორ სამარხში, მიცვალებულის თავს უკან და ზურგს უკან, როგორც ჩანს, ტყავის ქისები იდო. №6 სამარხში ჩანყობილია 3 ბრტყელი მძივი, თუ საბეჭდავი, მინის 4 „თვალისანი“ მძივი და ლურჯი მინის სკარაბეოიდი. უცნაური „ინსტრუმენტების“ გროვა იდო №8 სამარხში მიცვალებულის ზურგს უკან, საგანგებო ბუდეში. ქვის და ძვლის ეს ნივთები ძალზე დიდ მსგავსებას იჩენს საკულტო ნივთებთან, რომლებიც ძველ ეგვიპტეში გამოიყენებოდა მუმის „პირის გახსნის“ რიტუალში.<sup>1</sup> მიცვალებულისათვის ჩატანებული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ნაშთები ყველა სამარხში გვხვდება. ისინი, ცალკეული ნაწილების სახით, დანყობილია სამარხის იატაკზე. ზოგიერთ სამარხში აღმოჩენილია ცხვრის ან თხის მთლიანი ჩონჩხები, რომელთა ყელის არეში დაუმუშავებელი ობსიდიანის ანატკეცები აწყია.

გარკვეული რიტუალია შესრულებული კრომლენის გარეთაც: სამარხი კამერების ჩრდილოეთით, უშუალოდ კრომლენის ქვებზე მიდგმულია სარიტუალო ორმოები (0,4 X 0,5 მ; 0,6 X 0,8 მ.), რომლებიც ქვის ფილებით ან წვრილი ქვებითაა დაფარული. ორმოებში მხოლოდ თხის ჭურჭელია ჩადგმული (3-5 ერთეული). აქ აღმოჩენილი ჭურჭელის ნაწილი ქვის სარქველითაა დახუფული. საკვებით სავსე ჭურჭელი ჩანყობილია როგორც სამარხში, ისე სარიტუალო ორმოებში.<sup>2</sup> გარკვეულ რიტუალთანაა დაკავშირებული ხორბლის თავთავების, ან მარცვლების მოყრა მიცვალებულის ირგვლივ. სამ სამარხში მიცვალებულებს მინდვრის ყვავილების თაიგული ჩაატანეს.

**მოსახლეობის ანთროპოლოგიური დახასიათება.** საფარ-ხარაბას სამაროვანზე გათხრილი სამარხებიდან მხოლოდ 31-შია აღმოჩენილი ადამიანის ძვლოვანი ნაშთი, რომელთა იდენტიფიკაცია სქესისა და ასაკის მიხედვით შესაძლებელია. დაკრძალულთა 28,2% მამაკაცი, 41,0% დედაკაცი და 25,6% ბავშვი შეადგენს. მამაკაცებში სხეულის სიმაღლე ცვალებადობს 154,5-175,0 სმ. ფარგლებში. დედაკაცების სხეულის სიმაღლე კი 151,3-165,3 სმ-ის ფარგლებში ვარიირებს. საფარ-ხარაბას მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ მაღალი ცხოვრების დონით ხასიათდებოდა, გამოირ-

<sup>1</sup> ნარიმანიშვილი, *თრიალეთი*, გვ. 287.

<sup>2</sup> ნარიმანიშვილი, *თრიალეთი*, გვ. 283-285.

ჩეოდა სიცოცხლის დაბალი ხანგრძლივობით. მამაკაცების (30,7) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 5,7 წლით მეტია, ვიდრე ქალების (25,0), ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ბავშვთა სიკვდილიანობის გათვალისწინებით, 23,7 წელს შეადგენს. უკანასკნელზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის აღწარმოება ძალიან ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა.<sup>1</sup>

**დასკვნა.** თრიალეთში ჩატარებული არქეოლოგიური და ინტერდისციპლინარული კვლევები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებისა და მეორე ნახევრის თრიალეთის დასახლებების ტოპოგრაფია, მათი გეგმარება, ნაგებობათა არქიტექტურული სახე და ინტერიერი; შესაძლებელია ვისაუბროთ ამ ეპოქის ადამიანების ყოველდღიურ ყოფაზე, მათ საქმიანობაზე, საკვებზე, ასევე გარკვეულ რწმენა-წარმოდგენებზე. ბრინჯაოს ხანის თრიალეთელების ძირითადი საქმიანობა მინათმოქმედება და მესაქონლეობა იყო. მათ მოჰყავდათ მარცვლოვანი კულტურები და მისდევდნენ მევენახეობას. მესაქონლეობის მნიშვნელოვან დარგს მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის მოვლა და ცხენოსნობა წარმოადგენდა.

თრიალეთელების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხელოსნობის ისეთ დარგებს, როგორცაა მეთუნეობა, მეტალურგია, ფეიქრობა, ხითხურობა, ქვის, ძვლის და ტყავის დამუშავება და ვაჭრობა. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილ ამ ეპოქის სამაროვნებიდან, საფარ-ხარაბას სამაროვანი გამოირჩევა იმპორტული ნივთების მრავალრიცხოვნებით. ბრინჯაოს ხანის თრიალეთელების ფართო საგარეო ურთიერთობაზე მიუთითებს საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი იმპორტული ნაწარმი (მითანიური საბეჭდავები, მინის, ფაიანსის მძივები, ეგვიპტური ქვები, სკარაბეოიდი, ბრინჯაოს იარაღი, მენამული ფერის ქსოვილი). საფარ-ხარაბას სამაროვანზე აღმოჩენილი ნივთების ნაწილი მითანიური ეპოქის მესოპოტამიასა და ეგეოსურ სამყაროში დადასტურებულ მძივებთან და ამულეტებთან ავლენს მსგავსებას. ცილინდრული საბეჭდავები მითანური სტილისაა და გავრცელებული იყო იმ ეპოქის თითქმის მთელ ახლო აღმოსავლეთსა და ეგეოსურ სამყაროში. საფარ-ხარაბას №5 სამარხში ნაპოვნი საბეჭდავი სრულიად ანალოგიურია კვიპროსზე, ჰალა სულთან თექეს ნამოსახლარზე მოპოვებული საბეჭდავის.<sup>2</sup> მათ ანალოგი მოეპოვებათ მითანიური პერიოდის ნუზიში, თეჰიპ-თილას არქივის ერთ-ერთ საბუთზე ანაბეჭდის სახით. საფარ-ხარაბას №6 სამარხში ნაპოვნი მინის „თვალისანი“ მძივები ანალოგიურია ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების და მეორე ნახევრის მესოპოტამიასა და ირანში (ნიპური, ასური, ჩოგა

<sup>1</sup> ბითაძე, საფარ-ხარაბას სამაროვნის ანთროპოლოგიური დახასიათება, გვ. 548-549.

<sup>2</sup> Shanshashvili, Narimanishvili, *Dynamics and Nature*, გვ. 24.

ზანბილი) მოპოვებული მძივების.<sup>1</sup> ლურჯი მინის ადამიანის სახიან სკარაბეოიდს კი ზუსტი ანალოგი მოეპოვება მითანიური ეპოქის ნუზიში.<sup>2</sup> მენამული ფერის ქსოვილების წარმოება და გავრცელება კი ძვ. წ. II ათასწლ. შუა ხანებში აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის (ლევანტის) ქალაქების მონოპოლიას წარმოადგენდა. თრიალეთში მოპოვებული არტეფაქტები სავარაუდოს ხდის ამ ეპოქაში თრიალეთის მოსახლეობის ურთიერთობას ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონთან. რა სახის იყო ეს კონტაქტები, სამხედრო, სავაჭრო, უშუალო, თუ შუამავლების მეშვეობით, დღეს ძნელია რაიმის თქმა. აღსანიშნავია, რომ საფარ-ხარაბას №6, №56 და №84 სამარხებში ნაპოვნი ოქროს მძივები ანალოგიურია იმავე ეპოქის ლჭაშენის №2 ყორღანში, ლორი ბერდის №15 სამარხში და ტაგავორანისტში მოპოვებული მძივების.<sup>3</sup> სომხეთში გათხრილი ეს ძეგლები გამოირჩევა თავისი სიმდიდრით, რომელთა შორის აღსანიშნავია ბუზის ფორმის ოქროს საკიდები.<sup>4</sup> მსგავსი საკიდებით კი შუა სამეფოს ეპოქის ეგვიპტის ფარაონები განსაკუთრებულად მამაც მებრძოლებს აჯილდოვებდნენ.<sup>5</sup> ეგვიპტესთან ურთიერთობის მაჩვენებელია ქვის „ინსტრუმენტების“ ნაკრები საფარ-ხარაბას №8 სამარხიდან, რომლებიც ძველი ეგვიპტური „პირის გახსნის“ რიტუალისთვის განკუთვნილი ქვების მსგავსია.<sup>6</sup> არ არის გამორიცხული, რომ სამხრეთ კავკასიელები მონაწილეობას იღებდნენ ახლო აღმოსავლეთში წარმოებულ ომებში. როგორ მოხვდა ეს სარიტუალო ნივთები თრიალეთში ეგვიპტიდან, დღეს ძნელი სათქმელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საფარ-ხარაბას სამაროვნის მახლობლად, XX საკუნის 30-იან წლებში ბ. კუფტინმა გათხარა თრიალეთის კულტურის XIV ყორღანი, რომელიც ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულით თარიღდება. ამ ყორღანში ნაპოვნი ეგვიპტური ამულეტები: სარდიონის ფეხის ფორმის საკიდი და ამეთვისტოს გულის ფორმის საკიდი.<sup>7</sup> დღეისათვის ძნელია რაიმეს თქმა ამ ნივთების მოხვედრის თაობაზე თრიალეთში. შესაძლოა ეს იყო საბრძოლო ნადავლი, ან კი ვაჭრობის გზით მოპოვებული ამულეტები, მაგიური საგნები, თუ მდიდრული სამკაული.

ამდენად, არქეოლოგიური მონაცემები ყოველდღიური ცხოვრების რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა. თუმცა დღეისათვის ყოველდღიური ცხოვრების სურათის სრულად წარმოჩენა რთულია და კიდევ ითხოვს

---

<sup>1</sup> Limper, *Uruk*, გვ. 15-16, სურ. 5.

<sup>2</sup> Starr, *Nuzi*, ტაბ. 120-RR1.

<sup>3</sup> Petrosyan, *Lchashen*, ტაბ. XXXVI; Devejian, *Tagavoranist*, ტაბ. XLIX.

<sup>4</sup> Petrosyan, *Lchashen*, ტაბ. XXXVI; Devejian, *Tagavoranist*, ტაბ. XXXIII, XLIX.

<sup>5</sup> Бонджоанни, *Соле Кроче, Сокровища Египта*, გვ. 367.

<sup>6</sup> ნარიმანიშვილი, *თრიალეთი*, გვ. 287.

<sup>7</sup> Нариманишвили, *Египетские амулеты*, გვ. 221-224.

დამატებით მონაცემებს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ უძველესი თრიალეთელების ყოველდღიური ცხოვრება გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით.

### დამონმებული ნყაროები და ლიტერატურა

- ბენდუქიძე, ჯინისის ცხენი** - ბენდუქიძე ო., *ჯინისის ცხენი და ცხოველთა მოშინაურების ზოგიერთი საკითხი*, კრ. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში“, რედ. გ. გამყრელიძე და მ. ვიკერსი, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2010, გვ. 250-307.
- ბითაძე, საფარ-ხარაბას სამაროვნის ანთროპოლოგიური დახასიათება** - ბითაძე ლ., *საფარ-ხარაბას სამაროვნის ანთროპოლოგიური დახასიათება*, კრ. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში“, რედ. გ. გამყრელიძე და მ. ვიკერსი, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2010, გვ. 543-553.
- ნარიმანიშვილი, თრიალეთი** - ნარიმანიშვილი გ., *თრიალეთი ძვ. წ. XV-XIV საუკუნეებში*, კრ. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში“, რედ. გ. გამყრელიძე და მ. ვიკერსი, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2010, გვ. 275-369.
- ნარიმანიშვილი, ამირანაშვილი, ჯინისის ნამოსახლარი** - ნარიმანიშვილი გ., ამირანაშვილი ჯ., *ჯინისის ნამოსახლარი*, კრ. „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში“, რედ. გ. გამყრელიძე და მ. ვიკერსი, თბილისი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2010, გვ. 207-253.
- Devejian, Tagavoranist** - Devejian S., *Tagavoranist*, „The Gold of Ancient Armenia (III mill. BC – 14 cent. AD)“, Yerevan, 2007, გვ. 99-102.
- Devejian, Gold of Lori Berd** - Devejian S., *Gold of Lori Berd in the Late Bronze Age*, „The Gold of Ancient Armenia (III mill. BC – 14 cent. AD)“, Yerevan, 2007, გვ. 108-115.
- Kvavadze, Narimanishvili, The remains of Gossipium** - Kvavadze E., Narimanishvili G., *The remains of Gossipium, Linum and sheep hairs as textile fibers of cotton, flax and wool in palynological material from Bronze Age burials*, „Palyno-Bulletin“, 2006, vol. 2, N 1-4, გვ. 34-37.
- Kvavadze, Narimanishvili, Bitadze, Fibres of Linum** - Kvavadze E., Narimanishvili G., Bitadze L., *Fibres of Linum (flax), Gossypium (cotton) and animal wool as non-pollen palynomorphs in the late bronze Age burials of Saphar-Kharaba, southern Georgia*, „Vegetation History and Archaeobotany. The Journal of

Quaternary Plant Ecology, Paleoclimate and Ancient Agriculture“, 2010, vol. 19, N 5-6, გვ. 479-494.

- Limper, Uruk** - Limper K., *Uruk. Perlen, Ketten, Anhänger. Grabungen 1912-1985. Uruk-Warka. Endbericht*, Bd. 2, Mainz am Rhein, 1988.
- Petrosyan, Lchashen** - Petrosyan L., *Lchashen (in Armenian)*, „The Gold of Ancient Armenia (III mill. BCE - 14 cent. AD)“, Yerevan, 2007, გვ. 102-108.
- Shanshashvili, Narimanishvili, Dynamics and Nature** - Shanshashvili N., Narimanishvili G., *Dynamics and Nature of the Relations between South Caucasus and Aegean Worlds in the Bronze Age*, „Aegean World and South Caucasus: Cultural Relations in the Bronze Age“, Ed. by M. Kvachadze, N. Shanshashvili, Tbilisi, 2016, გვ. 11-48.
- Starr, Nuzi** - Starr R. F. S., *Nuzi. Report on the excavations at Yorgan Tepa near Kirkuk, Iraq, conducted by Harvard University in conjunction with the American Schools of Oriental Research and University Museum of Philadelphia 1927-1931*, vol. II, Cambridge, Massachusetts, 1937.
- Бонджоанни, Соле Кроче, Сокровища Египта** - Бонджоанни А., Соле Кроче М., *Сокровища Египта. Иллюстрированный путеводитель по Египетскому Музею в Каире*, White Star Publisher, 2001.
- Нариманишвили, Египетские амулеты** - Нариманишвили Д., *Египетские амулеты III-II тысячелетия до н. э. на Южном Кавказе*, კრ. „კავკასიის არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფოლკლორისტიკა“, რედ. გ. ლამბაშიძე, თბილისი, 2010, გვ. 221-224.

## Nino Shanshashvili, Goderdzi Narimanishvili

### Everyday Life in Trialeti (South Caucasus) in the Middle and the Second Half of the 2<sup>nd</sup> Millennium B. C.

#### Summary

Archaeological and interdisciplinary studies conducted in Trialeti make possible to reconstruct the topography, planning, architectural view and interior of Trialeti settlements dated from the middle and the second half of the 2<sup>nd</sup> mill. B. C. Aeroarchaeological, geodesic, paleobotanical, paleozoological, anthropological and palynological studies of the Trialeti settlements of this period have been conducted. Several dozens of settlements, citadels and cemeteries were studied archaeologically. Important data on the everyday life of Trialeti population of the middle and the second



half of the 2<sup>nd</sup> mill. B. C. was received during the excavations of Jinisi, Beshtasheni and Sabechdavi settlements and Sapar-Kharaba cemetery. In the middle and the second half of the 2<sup>nd</sup> mill. B. C. population of Trialeti mainly chose the southern slopes of the Trialeti mountain range. Generally, settlements were situated on the tops or slopes of hills or mountains, on the banks of rivers or lakes. In the Late Bronze Age the dead were buried far from the settlements in specially constructed cemeteries.

It is possible to speak about everyday life of the local population, their occupation, clothing and diet, as well as about some religious beliefs. Main occupation of Trialeti population was agriculture and cattle-breeding. They grew crops and practiced gardening. Important was the sphere of cattle-breeding. Breeding of small and large cattle, including horse breeding, used to be popular.

Such fields of craftsmanship as pottery, metallurgy, weaving, carpentry and works on stone, bone and leather played an important role in everyday life of Trialeti people. Also a war and trade was a part of their life.



1. ჯინისის ნამოსახლარი. ხედი აღმოსავლეთიდან.




2. თრიალეთის პლატო. წინა პლანზე სოფ. ბეშთაშენი და ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარი.






საბეჭდავი. ციკლოპური ნამოსახლარი. რეკონსტრუქცია.



1. საბეჭლაივი. სახლები ქველა სიმაგრეში. რეკონსტრუქცია.



2. საბეჭლაივი. II უბანი, № 1 სახლი. რეკონსტრუქცია






1. საბეჭდავი, II უბანი. №3 სახლი. დეტალი.




2. საბეჭდავი, II უბანი. №2 სახლი. დეტალი.




1. ბეშთაშენის ციკლოპური ნამოსახლარი. გენგეგმა.



2. ბეშთაშენის ციკლოპური ნამოსახლარი. თავდაცვითი კედელი და სახლები. დეტალი.



1. ჯინისის ნამოსახლარი. №1 სახლი. რეკონსტრუქცია.



2. ჯინისის ნამოსახლარი. №№ 1-4 სახლები. რეკონსტრუქცია.